

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

--სექტემბერი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩისთვის
კომპოზიტორის გომარ სიხარულიძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩას მიენიჭოს კომპოზიტორის გომარ სიხარულიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



გომარ სიხარულიძე

(1942-2020)

კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი

დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1964 წელს(საგუნდო-სადირიჟორო), 1976 წელს(საკომპოზიციო).

1957–1959წწ. იყო ქ. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან არსებული გუნდისა და ხალხური ინსტრუმენტალური ანსამბლის ხელმძღვანელი; 1961–1975წწ. ვოკალური ანსამბლი "გორდელას" ხელმძღვანელი; 1966–1970 წწ. ასწავლიდა თბილისის I სამუსიკო სასწავლებელში, 1970–1977წწ. თბილისის V სამუსიკო სკოლის დირექტორი; 1977 წლიდან იყო თბილისის პიონერთა სასახლის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი; 1984 წლიდან თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკალური კათედრის გამგე; დაწერილი აქვს: კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები – სონატა ფორტეპიანოსათვის(1969), ხუთი პიესა ფორტეპიანოსათვის(1970), ექსპრომტი ფორტეპიანოსათვის(1970), პრელუდია და ფუგა ფორტეპიანოსათვის(1970), კონცერტი სამი შემსრულებლისათვის, საბავშვო ხმა, ტენორი, ბანი(1984); კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები – 4 რომანსი ბარიტონისა და ფორტეპიანოსათვის(1964), რომანსი მაღალი ხმისა და ფორტეპიანოსათვის(1970), "ავე მარია" არია მაღალი ხმისა და ფორტეპიანოსათვის(1974); საგუნდო ნაწარმოებები – დიდება N1 "რვასი" სოლისტებისა და ვაჟთა გუნდის ა კაპელასათვის(1966), დიდება N2 "გურამი" სოლისტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის(1968), "ოთხი გურული ჩანახატი" ქალთა გუნდის ა კაპელასათვის(1972), დიდება N3 "ჯარჯი" სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის(1975); საესტრადო

სიმღერები – "იმერული ბალადა", "გურია", "დონ კიხოტი ზურიკელა", "გაზაფხული"; მუსიკა სპექტაკლების, ანიმაციური ფილმებისა და მხატვრული კინოფილმებისათვის ("ჩარი–რამა", "გამინაწილე სითბო", "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"). ვოკალურ ანსამბლ "გორდელასთან" ერთად, 1968 წელს გახდა ბულგარეთის სტუდენტური და ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული. 1972 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1981 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. 1977 წლიდან იყო კომპოზიტორთა კავშირის წევრი.

გარდაიცვალა 2020 წელს. დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი
Georgian Composers Union

0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 123 / 123 D. Agmashenebeli ave., Tbilisi, 0102, Georgia
ტელ./Tel.: +995 32 295 41 64, / +995 599 50 47 59; E-mail: geocomposers@gmail.com; www.composersunion.ge

№ 03

31.01.2022

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, ლოტბარის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ გომარ სიხარულიძის (1942-2020) სახელის უკვდავსაყოფად და დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გომარ სიხარულიძის სახელი.

მნიშვნელოვანია გომარ სიხარულიძის ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა მუსიკალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავდა: 1961-75 წლებში იყო ვოკალური ანსამბლი "გორდელა"-ს ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი; 1970-77 - თბილისის №5 სამუსილო სკოლის დირექტორი და პედაგოგი; 1977-83 - თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი; 1983-2004 - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის (ამჟამად ილიას) სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის მუსიკის კათედრის გამგე და პროფესორი; 2005 წლიდან თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი. გ. სიხარულიძე იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი და ფოლკლორისათა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (იუნესკოს ეგიდით).

გომარ სიხარულიძის შემოქმედება სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებს მოიცავს, მათ შორისაა სიმფონიური, საგუნდო, საფორტეპიანო, კამერულ-ინსტრუმენტული საანსამბლო და ვოკალური ნაწარმოებები. იგი მრავალი საესტრადო სიმღერის ავტორია, მათ შორის, "იმერული ბალადა", "გურია", "დონ კიხტი ზურიკელა", "გაზაფხული". შექმნილი აქვს მუსიკა სპექტაკლების, ანიმაციური ფილმებისა და მხატვრული კინოფილმებისათვის, მათ შორის, "ჩარი-რამა", "გამინაწილე სითბო", "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში" და სხვა.

გთხოვთ, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეჯერებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ქუჩის ადგილმდებარეობის დადგენა მოხდეს ოჯახთან შეთანხმებით (საკონტაქტო პირი - ნინო სიხარულიძე, ტელ.: 599 524 647).

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარე, პროფესორი



გიორგი შავერზაშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM
GEORGIA STATE UNIVERSITY



www.tafu.edu.ge



MES 3 22 0000252122



14/03/2022

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონი ნინო,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების (#5 10.03.2022 წ.) საფუძველზე მოგმართავთ
თხოვნით, რათა განიხილოთ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი
მუსიკოსის, კომპოზიტორის, ლოტბარის და პედაგოგის გომარ სიხარულიძის სახელის
მინიჭების საკითხი.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
გიორგი შალუტაშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: **03-032226365**
თარიღი: **20/09/2022**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული
ადრესატი: პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შალუტაშვილის 2022 წლის 14 მარტის საქმე #04-032207337-03 დაკავშირებით, რომლითაც უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მუსიკოსის, კომპოზიტორის, ლოტბარის და პედაგოგის გომარ სიხარულიძის სახელის მინიჭებას.

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვლადიმერ კანკავას ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში გომარ სიხარულიძის სახელობის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

